პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

გამოცემის მერვე წელი

№ 28 (269)
პარასკევი,
13
ნოემბერი,
1959 წ.
ფასი 20 კაპ.

## სტუმრები პოლონეთიდან



დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავთან დაკავშირებით ჩვენს დედაქალაქს ესტუმრნენ ვარშავის უნივერსიტეტის სტუდენტები. სტუმრებმა 10 დღეს დაყვეს თბილისში, ინახულეს ღირსშესანიშნავი ადგილები, იყვნენ სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, ვ. ი. ლენინის მუზეუმში, ცირკში და სხვ.

სტუმრებს განსაკუთრებით მოეწონათ სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი.

— რა დიდებულად ჩანს თქვენი ქალაქი ფუნიკულიორიდანო, — გვითხრეს პოლონელმა სტუმრებმა.

ჩვენი სტუმრები ცხოვრობდნენ სტუდენტთა ქალაქის მე-7 კორპუსში; ჩვენ, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა მეგობრული კავშირი დავამყარეთ მათთან. თბილისიდან გამგზავრებისას ჩვენმა მეგობრებმა დაგვიტოვეს მისამართები, გადავწყვიტეთ მიწერ-მოწერა ვაწარმოოთ პოლონელ სტუდენტებთან.

**ლ. ზურაბაშვილი,**
ბიოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.

**სურათზე:** ვარშავის უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები სტუდენტთა ქალაქის ბაღში.

## საინტერესო ლექცია

11 ნოემბერს ჩვენს უნივერსიტეტში ჰუმბოლტის საენათმეცნიერო კონცეფციის შესახებ მეტად საინტერესო მოხსენება წაიკითხა ჰუმბოლტის სახელობის ბერლინის უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის წევრმა, დოქტორმა ევალდ შანკვეილერმა, რომელიც სტუმრად იმყოფება საბჭოთა კავშირში.

აღნიშნულმა მოხსენებამ მსმენელთა დიდი დაინტერესება გამოიწვია.

პროფესორებმა არნოლდ ჩიქობავამ და გიორგი ახვლედიანმა მაღალი შეფასება მისცეს მოხსენებას.

ბოლოს, ჩვენი უნივერსიტეტის მთელი კოლექტივის სახელით ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის გამგემ, პროფ. გ. ახვლედიანმა მსმენელთა ტაშში გულითადი მადლობა გადაუხადა სტუმარს ასეთი შინაარსიანი მოხსენების წაკითხვისათვის.

## ორგანული ქიმიის ლაბორატორიაში



**სურათზე:** ქიმიის ფაკულტეტის ორგანული ქიმიის სპეციალობის V კურსის ფრიადოსანი სტუდენტები (მარჯვნიდან მარცხნივ) — ნუნუ ტაბაშიძე და კლარა ბლიაძე ორგანული ქიმიის ლაბორატორიაში მუშაობენ თავიანთი სადიპლომო შრომების მასალებზე (ხელმძღვანელი პროფ. ი. გვერდწითელი).

ფოტო ა. გემჯიანისა

## საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე

ფილოლოგიის ფაკულტეტის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საგადარჩევნო კრება 1959 წლის 30 ოქტომბერს დამსწრეთა მაღალი აქტივობის ნიშნით ჩატარდა. პარტბიუროს მდივნის, ამხ. ოთარ ბაქანიძის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნული იყო როგორც მიღწევები პარტიული ბიუროს მუშაობაში, ისე ნაკლოვანებებიც.

საანგარიშო პერიოდში პარტბიურომ ნაყოფიერი მუშაობა გასწია რაც სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაშიც გამოვლინდა. 1958 — 1959 სასწავლო წელი ფაკულტეტის სტუდენტებმა კარგი აკადემიური მაჩვენებლებით დაამთავრეს.

პარტიული ბიურო მუდამ იყო ფაკულტეტის სამეცნიერო ცხოვრების კურსში და აქტიურად იბრძოდა სამეცნიერო მუშაობის გეგმების განხორციელებისათვის. ფაკულტეტის მეცნიერ-თანამშრომელთა შრომები, რომლებიც აქტუალობითა და სიახლით გამოირჩეოდნენ, გატანილ იქნა ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენციაზე და სხვ. მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია.

ფაკულტეტზე სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა, რომელსაც ამხ. გ. წიბახაშვილი ხელმძღვანელობდა, სათანადო სიმაღლეზე იდგა; აგიტაციები ტარდებოდა სისტემატურად და ასახავდა როგორც ჩვენს საშინაო, ისე საერთაშორისო ცხოვრებასაც. მოწინავე აგიტატორთაგან მოხსენებაში დასახელებული იყვნენ დოც. ტ. რუხაძე, დოც. ვ. ცისკარიძე, ასპირანტი ლ. კანკავა და სხვ. პარტბიურომ კომკავშირულ და პროფკავშირულ ბიუროებთან ერთად ჩაატარა სამი თეორიული კონფერენცია.

დიდი ყურადღება ეთმობოდა სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობას. დეკანატთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად ჩატარდა რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ფაკულტეტებზე დისციპლინის ამაღლებას. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით ბევრი რამის გაკეთება მოუხდება ახლად არჩეულ პარტბიუროს. ეს განსაკუთრებით ეხება ლექცია-სემინარებზე სტუდენტთა დასწრების საკითხს.

ფაკულტეტზე დამაკმაყოფილებლად წარმოებდა საქმიანობა კულტმასობრივი და ფიზკულტურული მუშაობის მხრივაც. ეწყობოდა შეხვედრები სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან, ჩატარდა პოეზიის საღამო, რომელშიაც რესპუბლიკის ახალგაზრდა პოეტებმა მიიღეს მონაწილეობა, წიგნების განხილვა, მრავალრიცხოვანი ექსკურსიები და სხვ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოეზიის საღამო მეტად დაბალ დონეზე იქნა ჩატარებული და მან სავსებითაც ვერ დააკმაყოფილა აუდიტორია. მოხსენებაში აღნიშნული იყო ისიც, რომ ჯერ კიდევ ნაკლებად ეწყობა წიგნებისა და ჟურნალების, ფილმებისა და სპექტაკლების საჯარო განხილვები. არ ტარდება წარმოების მოწინავე მუშაკებთან შეხვედრები და სხვ.

საანგარიშო მოხსენების შემდეგ გაიმართა საქმიანი კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დოც. ტ. რუხაძემ, დოც. ვ. ცისკარიძემ, დოც. გ. გოლეთიანმა, სტუდენტებმა — ამხ. შ. მაისურაძემ, ზ. მეძველიამ და სხვებმა.

პარტიულმა კრებამ დასახა ღონისძიებანი ფაკულტეტის პარტორგანიზაციის მუშაობაში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და ფაკულტეტზე პარტიული მუშაობის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად.

**დ. თუხარელი**

## უფრო ხშირად

მხიარულად და საინტერესოდ ჩატარდა სტუდენტთა დასვენების საღამო ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსულ განყოფილებაზე.

სააქტო დარბაზი საზეიმოდაა მორთული. ნაირფერ ბურთებს, ყვავილებს სიცოცხლე და სიხარული შეაქვთ მხიარულების საერთო ნაკადში.

7 საათია. საესტრადო ორკესტრის ხმაზე (რომელსაც ჩვენი სტუდენტი ი. მოსეშვილი ხელმძღვანელობს) დატრიალდნენ მოცეკვავეთა წყვილები. ცეკვა შეწყდა და საღამოს წამყვანმა ი. მამალაძემ კონცერტის დაწყება აუწყა დამსწრეთ.

სასიამოვნოდ ჟღერს სიმღერები, რომლებსაც ასრულებენ სტუდენტები — მ. სერგეევა, ღ. შავდია, ც. სარიაშვილი.

შემდეგ იმართება ვიქტორინა, თამაშობანი, გათამაშდა ლატარეაც.

კარგად დაისვენეს იმ დღეს სტუდენტებმა.

კარგი იქნება თუ ასეთი საღამოები უფრო ხშირად მოეწყობა.

**ნ. ტარასოვა**



**სურათზე:** ქიმიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტები (მარჯვნიდან მარცხნივ) — გ. კუცია და ნ. იმნაძე არაორგანული ქიმიის ლაბორატორიაში მუშაობენ დოც. დ. ხავთასის ხელმძღვანელობით.

## ჩვენი ხელნაწერი ჟურნალი

„ჰაშნიკი" — ასე ეწოდება უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტთა ხელნაწერ ჟურნალს, რომელიც გასული სასწავლო წლის დასასრულს გამოვიდა.

თვით ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, თუ რა კარგ მთარგმნელობით საქმიანობას ეწევა ფაკულტეტის სტუდენტობა, მაგრამ ადვილი როდი იყო მათი ნამუშევრების შეკრება. ყოველი სტუდენტი საკუთარ თარგმანსა თუ კრიტიკულ წერილს გულდასმით მალავდა ჩვენ თვალთაგან და მათ ან პირდაპირ პრესაში, ან კიდევ უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის სხდომაზე მიარბენინებდა განსახილველად. მაგრამ თანდათან, დაძაბულ შრომაში, სტუდენტები დაინტერესდნენ და მასალებმაც იწყო დენა ჩვენს „რედაქციაში".

თავიდანვე გადავწყვიტეთ, რომ ჟურნალში მოგვეთავსებინა მხოლოდ თარგმნილი მასალა და ის კრიტიკული წერილები, რომლებიც თავიანთი თემატიკით ჩვენი ფაკულტეტის პროფილს შეესაბამებოდნენ. წარმოდგენილი მასალებიდან გულდასმით შერჩეული ნაწარმოებები ფაკულტეტის ლექტორებს შევამოწმებინეთ და შემდგომ ამისა გავბედეთ ჟურნალის აკინძვა. კარგა ხანს ვეძებდით სახელს. ბოლოს „ჰაშნიკი" ვარჩიეთ. ჩვენი ჰაშნაგირი უნივერსიტეტის სტუდენტობა უნდა ყოფილიყო.

ჟურნალი მხატვრულად შესანიშნავადაა გაფორმებული და სულ ოთხი ნაწილისაგან შედგება.

პოეზიის განყოფილებაში წარმოდგენილია თარგმანები ინგლისელ, გერმანელ და ფრანგ ავტორთა ნაწარმოებებიდან. უილიამ ბლეიკის ლექსი „მხამის ხე" თარგმნა ი. კენჭოშვილმა, ნაწყვეტი ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდიდან" თარგმნა მ. მეტრეველმა, ჯო უოლესის ლექსები თარგმნა ლ. კუკავამ. ორი გერმანული ლექსის თარგმანი წარმოადგინა დ. კოკაიამ. ესენია ი. ბეხერის „ნეკარი ნურტინგენთან" და კორნერის „ღამე". ფრანგული ენიდან ითარგმნა ვიქტორ ჰიუგოს ლექსები. თარგმანი შეასრულა თ. ცინცაძემ.

პროზის განყოფილებაში დაბეჭდილია კატრინ ბენსფილდის მოთხრობა „ფინჯანი ჩაი" (თარგმნა ს. კახიანმა), ნაწყვეტი რომენ როლანის რომანიდან — „მოხიბლული სული" (თარგმნა ი. ფხაკაძემ), სტენდალის „ლეიტენანტი" (თარგმნა ლ. ლასაშვილმა) და ლიონ ფოიხტვანგერის ნოველა — „ნერონის სიკვდილი" (თარგმნა ზ. ჩხენკელმა).

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება წარმოდგენილია მხოლოდ ორი წერილით. ესენია მ. ქადეიშვილის „დიუმა საქართველოში" და დ. კოკაიას „გოია, ანუ შემეცნებითის ბედითი გზა". ინგლისური სპეციალობის სტუდენტთა სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ მათ ვერ წარმოადგინეს ვერცერთი კრიტიკული წერილი.

სატირისა და იუმორის განყოფილებაში წარმოდგენილია იუმორისტული ნაწარმოებები გერმანული, ფრანგული და ინგლისური ენებიდან. თარგმანი შესრულებულია ბ. მოდებაძისა და დ. ჯანელიძის მიერ.

ამა წლის 29 ოქტომბერს მოეწყო ჟურნალ „ჰაშნიკის" განხილვა ფაკულტეტის ლიტერატურული წრის სხდომაზე. რეცენზენტებმა დაახასიათეს ჟურნალის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. დავა თარგმნის სპეციფიკურობის შესახებ იყო ობიექტური. კამათის შემდეგ გამოვიდა წრის ხელმძღვანელი, დოც. გ. გაჩეჩილაძე. იგი აღფრთოვანებით მიესალმა სტუდენტთა მისაბაძ წამოწყებას და იმედი გამოთქვა, რომ ჩვენი ფაკულტეტის მთარგმნელობითი სექციის მუშაობა მომავალში უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახდება. ამ იმედს არც ჩვენ ვკარგავთ და ალბათ სულ მოკლე ხანში უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეს ღირსეული წევრები შეემატება.

**ზ. ჩხენკელი**

# ხვალ იხსნება ჩვენი რაიონის კომკავშირული ორგანიზაციის XXXIX კონფერენცია

## ჩვენი ანკეტა

ორჯონიკიძის სახელობის რაიონის ალკკ ორგანიზაციის 39-ე კონფერენციასთან დაკავშირებით ჩვენმა კორესპონდენტმა შეკითხვებით მიმართა უნივერსიტეტის კომკავშირელ აქტივისტებს.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ შეკითხვებს და მათზე მიღებულ პასუხებს.

**კითხვები:**

1. რას იტყოდით საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიონული კომიტეტის მუშაობის შესახებ?
2. რა შენიშვნას გააკეთებდით?
3. თქვენის აზრით, რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება რაიკომმა მომავალ მუშაობაში?
4. რას უსურვებდით ახლადარჩეულ რაიკომის შემადგენლობას?

### დ. წაქაძე,

უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე.

ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი ყოველთვის იყო ჩვენი მუშაობის საქმის კურსში, გვეხმარებოდა; შესაძლებლობისამებრ. მე საუბარი მაქვს დახმარებაზე კომიტეტის მიმართ, რაც შეეხება ცალკეული ფაკულტეტების ბიუროებისადმი დახმარებას, ამის შესახებ თვითონ ბიუროს მდივნები იტყვიან.

რაიონული კომიტეტის კარგ ჩანაფიქრად შეიძლება ჩაითვალოს კომუნისტური შაბათობის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი შაბათობის მოწყობა.

არსებობს მომენტისათვის შესაფერისი ძირითადი საკითხები, რაც დროის გარკვეულ ინტერვალებში წარმოიშობა. საერთოდ კი, ძირითადი ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის მუშაობაში, ისევე როგორც საერთოდ კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობაში — ეს არის აქტივის დარაზმვა, შემოკრება და მჭიდრო კონტაქტი ძირეულ ორგანიზაციებთან.

საჭიროა აქტივის ხშირი შეხვედრა, ამ მიზნით სასურველია მოეწყოს სემინარები აქტივისათვის, ექსკურსიები ქალაქგარეთ, ან აქტივისტთა დელეგაციის გაგზავნა მოკავშირე რესპუბლიკებში.

მუშაობის სტიმულირებისათვის კარგი იქნება კარგი წამოწყებისათვის კომკავშირის ორგანიზაციის ან ორგანიზატორის დაჯილდოვება. საჭიროა რესპუბლიკურ პრესაში მეტი იბეჭდებოდეს ჩვენი რაიონის ალკკ ორგანიზაციების მუშაობის დადებით და უარყოფით მხარეებზე.

რაიონულ კომიტეტს ვუსურვებ როგორც ყოველთვის, მომავალშიც მოწინავეთა რიგებში ყოფნას.

### ლ. ბერიძე,

უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის საშეფო სექტორის ხელმძღვანელი.



1. სამწუხაროდ, ჩვენი რაიონული კომიტეტის მუშაობაზე გარკვევით ვერაფერს ვიტყვი, რადგან ჩვენი ურთიერთკავშირი საკმარისი არ იყო.
2. ჩემი შენიშვნაც ეს იქნება.
3. კარგი იქნება, თუ რაიკომი კონტაქტს დაამყარებს უნივერსიტეტის ალკკ კომიტეტის საშეფო სექტორთან,
4. რასაკვირველია, წარმატებებს.

### ნ. ქავთარაძე,

უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე.



1. სამწუხაროდ, ფაკულტეტის ბიუროს მდივნებს მჭიდრო კონტაქტი არ გვქონდა ორჯონიკიძის სახელობის რაიკომთან. ალბათ, ეს არის იმის მიზეზი, რომ პირველ კითხვაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ის ახალი, ჯანსაღი სული, რომელიც იგრძნობა თუნდაც ჩვენი უნივერსიტეტის კომკავშირულ ცხოვრებაში, რაიკომის კარგი მუშაობის შედეგია.

2. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ საჭიროა უფრო მჭიდრო კონტაქტი, უფრო ოპერატიული ხელმძღვანელობა და დახმარება პირველადი ორგანიზაციებისადმი.

3. ვფიქრობ, რომ ძირითადი და არაძირითადი რაიკომის მომავალ მუშაობაში არ უნდა იყოს. ყოველი საკითხი უნდა ჩაითვალოს ძირითადად.

4. ახალ-ახალ წარმატებებს.

### ა. ალექსიძე,

უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

1. რაიკომი გარკვეულ ინტერესს იჩენს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებისადმი, სისტემატურად იმყოფება ჩვენი მიმდინარე საქმიანობის კურსში.

2. მიუხედავად ამისა, ჩვენი საქმიანი კავშირის ერთადერთ ფორმას წარმოადგენს ჩვენი საზოგადოების წევრთა მონაწილეობა რაიკომის მომხსენებელთა ჯგუფის მუშაობაში. ორჯონიკიძის სახელობის რაიონის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებები მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ და მათი გამოყენება მრავალმხრივად შეიძლება.

3. აღსანიშნავია, რომ ამ საზოგადოებათა კავშირი სამეცნიერო და ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიმართულებით მეტად არადამაკმაყოფილებელია. რაიკომის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებამ უნდა მოახდინოს ჩვენი მუშაობის კოორდინაცია. იგი უნდა გამოდიოდეს გაერთიანებული სამეცნიერო კონფერენციების ინიციატორად.

4. ვუსურვებ წარმატებებს.

### რ. მეტრეველი,

უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე.



1. ორჯონიკიძის სახელობის კომკავშირის რაიონულ კომიტეტს გარკვეული მუშაობა აქვს ჩაატრებული სტუდენტ-ახალგაზრდობასთან, კერძოდ უნივერსიტეტის სტუდენტობასთან. იყო შემთხვევები, როდესაც რაიკომის წარმომადგენლები მოდიოდნენ ჩვენთან უნივერსიტეტში და საჭირო მითითებებს გვაძლევდნენ სხვადასხვა საკითხებზე. მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ის, რომ რაიკომის ბიურომ მოისმინა საკითხი ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიისა და ფიზიკის ფაკულტეტების ალკკ ბიუროების მუშაობის შესახებ.

2. მაგრამ ყოველივე ამას ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა და რაიკომის მუშაობაც ჩვენთან უფრო მეტად შემოწმების სახით გამოიყურებოდა.

3. თუ მხედველობაში გვექნება სტუდენტ ახალგაზრდობასთან მუშაობა, ვუპასუხებდი, რომ ძირითადია სტუდენტობასთან ახლო კავშირი, საჭიროა კავშირი უმაღლესი სასწავლებლების ძირეულ კომკავშირულ ორგანიზაციებთან თვით კურსებამდეც კი. ჯერ ვასწავლოთ, მივუთითოთ მუშაობაში, შემდეგ კი შევამოწმოთ.

4. რას ვუსურვებდით ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის შემადგენლობას? —

— წარმატებებს და მხოლოდ წარმატებებს.

ვუსურვებდი, რომ ორჯონიკიძის სახელობის რაიონის კომკავშირული ორგანიზაცია კვლავაც იყოს რესპუბლიკის მოწინავე კომკავშირულ ორგანიზაციათა პირველ რიგებში.

# სალამი დელეგატებს!

## ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ალკკ კომიტეტს

თქვენი ინსტიტუტის ქება ყოველთვის გვესმოდა და მისი წარმატებების მომხრენი ჩვენც ვიყავით. მაგრამ, რატომღაც, ასე იყო აქამდე: უნივერსიტეტი და პოლიტექნიკური ინსტიტუტი თითქოს ურთიერთდაპირისპირებულები იყვნენ — ვინ ვის აჯობებსო. მართალი რომ ითქვას, ამას თავისი დადებითი მხარეც ჰქონდა. არც ჩვენ გვინდოდა თქვენ დაგეჯაბნეთ, არც თქვენ გქონდათ ამისი სურვილი და ვცდილობდით ისე წაგვემართა მუშაობა, რომ ერთმანეთისთვის გაგვესწრო.

დღევანდლამდე ჩვენ ჩვენი გზებით მოვედით.

დღეისათვის საქმე ისე წარიმართა, რომ ჩვენ ერთად უნდა ვიაროთ.

ორი დიდი უმაღლესი სასწავლებლის მეგობრობა, საქმიანი, ყოველდღიური კავშირი, უფრო მეტს გააკეთებს, ვიდრე ყოველგვარი ურთიერთდაპირისპირება.

მეგობრობა თუ მთებსა სძრავს, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ასეთი ძალა?

როგორი იქნება თქვენი აზრი?

**ა. სანებლიძე,**

ი. ბ. სტალინის სახელობის თსუ ალკკ კომიტეტის მდივანი.

## ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალკკ კომიტეტს

ჩვენი ახალი მისამართი — ორჯონიკიძის რაიონი — იმაზე მეტყველებს, რომ თბილისის ყველა უმაღლესმა სასწავლებელმა ერთად მოიყარა თავი. ჩვენ განსაკუთრებით გვიხარია, რომ შევუერთდით იმ უზარმაზარ სტუდენტურ ოჯახს და ჩვენი პირველი სიტყვა, რაც გვინდა ყველას გასაგონად ვთქვათ, ესაა — მეგობრობა.

გვჯერა, რომ გავა დრო და ჩვენი ქალაქის სტუდენტობას ვერ დააკმაყოფილებს საკუთარი სასწავლებლების კედლებში ყოფნა და ყველანი გაერთიანდებიან ერთ მჭიდრო, დიდ კოლექტივად, ერთად გაინაწილებენ სიხარულს, — გამოწვეულს შრომითა და დასვენებით; დღეს კი ჩვენი სურვილია პირველი ნაბიჯი გადავდგათ უნივერსიტეტთან მჭიდრო მეგობრული კავშირის დამყარების გზაზე.

და როცა ეს ორი დიდი სასახლე მეცნიერებისა ერთმანეთს ფეხს აუწყობს, გაადვილდება უფრო მტკიცე მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის დამყარება.

**ს. ხაგეიშვილი,**

ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ალკკ კომიტეტის მდივანი.

რედაქციისაგან:

უკვე გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა მეგობრობის განმტკიცებისაკენ. თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტისა და სპი სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტების ალკკ ბიუროებმა უკვე დაამყარეს ურთიერთკავშირი. პირველი შეხვედრა სპორტული იყო. ამასწინათ მათი ფეხბურთელთა გუნდები ერთმანეთს შეხვდნენ ამხანაგურ მატჩში. გაიმარჯვეს უნივერსიტეტელებმა ანგარიშით 1:0. განზრახულია მოეწყოს დასვენების საღამო ერთიანი ძალებით და შეხვედრა კალათბურთში. უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტებმა უკვე დაამყარეს კავშირი პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტებთან. ამუშავდნენ ფილოლოგებიც.

დასაწყისი კარგია. ახლა უფრო მეტი მონდომებაა საჭირო!

### კ. კვაჭანტირაძე,

უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის წევრი.



1. ორჯონიკიძის სახელობის კომკავშირის რაიკომის მუშაობის პრაქტიკაში მისასალმებელია რაიონის სტუდენტობის მიერ ქუჩაში და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში წესრიგის დაცვისათვის რეიდების მოწყობა.

2. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს თვითშემოქმედებას. უფრო მჭიდრო უნდა იყოს კონტაქტი და ხელმძღვანელობა რაიკომისა ალკკ ორგანიზაციების თვითშემოქმედებითი კოლექტივების მიმართ.

3. რაიკომის მომავალ მუშაობაში ძირითად ამოცანად მიმაჩნია კომკავშირულ მუშაობაში რაიონის მთელი ახალგაზრდობის ჩაბმა.

4. ახლადარჩეულ რაიკომს ვუსურვებ უფრო მჭიდრო კონტაქტს ალკკ ძირეულ ორგანიზაციებთან. ეს ხელს შეუწყობს როგორც ძირეული ორგანიზაციების, ისე რაიკომის მუშაობის უფრო მაღალ დონეზე წარმართვას.



სურათზე: ფიზიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები—ზეინაბ შიოლაშვილი და რუსუდან ფირცხალავა (მარჯვნივ) ელექტრობის ლაბორატორიაში მუშაობის დროს.

ფოტო ა. გემჯიანისა

# შენიშვნები „ქინძარს"

ჩვენი „ქინძარი" უნივერსიტეტის ახალგაზრდობის ხელში მოქნილი იარაღია სასწავლო რეჟიმის დამრღვევ სტუდენტთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ მხრივ „ქინძარი" ცუდად როდი მუშაობს. იგი ნამდვილად უდგას მხარში ალკკ კომიტეტს მის ყოველდღიურ მუშაობაში, მაგრამ ცუდი ის არის, რომ „ქინძრის" რედკოლეგია ზოგჯერ მეორეხარისხოვანი ამბების გაშუქებით უფრო დაინტერესებული. ზოგჯერ კი ზომიერების ფარგლებს სცილდება.

ჯერ-ერთი, „ქინძარი" არ ბრწყინავს რეგულარობით, ეს კი აძნელებს გაარკვიო დროის რა მონაკვეთში გამოდის იგი, რაც, თავის მხრივ, აფერხებს კედლის გაზეთის მუშაობაში სტუდენტთა ფართო აქტივის მონაწილეობას.

„ქინძრის" ფურცლებზე უფრო მეტი ადგილი და ყურადღება ეთმობა „პარიკ-ვირტუოზის" „პოეზიასა" და უნივერსიტეტის დარაჯების კრიტიკას, ვიდრე სტუდენტი-ახალგაზრდობის ქცევას უნივერსიტეტში და მის გარეთ.

„ქინძრის" რედკოლეგიის მუშაობაში, მეტწილად, იგრძნობა ზედმეტი მოკრძალება, გაზეთი მოკლებულია კონკრეტულობას. მის ფურცლებზე ასახული პერსონაჟები ხშირად გამოცანის სახით არიან წარმოდგენილნი. დავეთანხმებით რედკოლეგიას თუ გვეტყვის, რომ ამა თუ იმ შემთხვევაში გამოყენებული მხატვრული ხერხის ამოცნობა ყველასათვის არ არის ერთგვარად ხელმისაწვდომი, მაგრამ არ დავეთანხმებით, როცა მთელ ნომერს გამოცანა-რებუსის სახით გვთავაზობს. „ქინძარი" მსუბუქი, სხარტი იუმორის ორგანოა მთელი თავისი კონკრეტულობით და არა მხოლოდ რებუსი-თავსატეხი.

როგორც სათაურქვეშ მინაწერიდან ჩანს, „ქინძარი" ჩვენი უნივერსიტეტის ალკკ კომიტეტის ორგანო უნდა იყოს, და თუ ეს ასეა, გაუგებარია იმ „კონფლიქტის" მიზეზი, რომელიც ამ გაზეთის რედკოლეგიასა და კომიტეტს შორის ჩანს. ვერ აგვიხსნია, რას უნდა ნიშნავდეს „არმაზ სანებლიძე კაბინეტში" (ე. ი. ალკკ მდივნის კაბინეტში), „არმაზ სანებლიძე ტელეფონის ნომრების ამკრეფი და დამკვეთი", „არმაზ სანებლიძის კაბინეტი (ე. ი. კომიტეტი) უბინადრო სტუდენტთა თავშესაფარი", „კონკურსი ახლადარჩეული მდივნის საუკეთესო ბიუსტზე... არმაზ სანებლიძე?"

ალბად, „ქინძრის" რედკოლეგიას ასეთი იაფფასიანი ხუმრობა კრიტიკა ჰგონია.

რაც არ უნდა იყოს, კომიტეტი კომიტეტია, ხოლო „ქინძარი" კომიტეტის ორგანო. ამავე დროს იგი თანაბრად საერთოა ყველასათვის. „ქინძარი" ჩვენი ცხოვრების უფრო აქტუალურ საკითხებს რომ ეხებოდეს სტუდენტთა ფართო მასას უფრო დააინტერესებდა და მიიზიდავდა კიდეც, როგორც კორესპონდენტებს. ეს კი თავის მხრივ გაზეთის შემდგომ წარმატებებს განაპირობებდა.

**ი. ცქიტიშვილი,**
ფილოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.

# საჭიროა თუ არა საესტრადო ორკესტრი?

ეს კითხვა დიდი ხანია აწუხებს უნივერსიტეტის ახალგაზრდობას. ყველასათვის ცნობილია, რა პოპულარობით სარგებლობს საესტრადო ორკესტრი.

ამიტომ, საჭირო იქნება ჩამოყალიბდეს კარგი საესტრადო ორკესტრი. ამის შესაძლებლობა კი უნივერსიტეტს გააჩნია. სტუდენტობა ამ საქმეს ხალისით მოეკიდება. უნივერსიტეტში არაერთხელ ჩატარებულა ოლიმპიადები და ფესტივალები. აქ ჩვენ ვხედავდით ცალკეული ფაკულტეტების მიერ ჩამოყალიბებულ პატარა საესტრადო ორკესტრებს.

1957 წელს ფილოლოგიის ფაკულტეტმა პირველად გამოიყვანა საესტრადო ანსამბლი, რომელიც პირველი წარმატებების შემდეგ დაიშალა. ასევე იყო იურიდიულ ფაკულტეტზე, შემდეგში კი — ფიზიკის ფაკულტეტზეც ზემოთ დასახელებულ კოლექტივებს გააჩნდათ თავისებური ნაკლოვანებანი. ერთად რომ ავიღოთ ყველა მათი დადებითი მხარე, ჩვენ გამოგვივა შესანიშნავი ანსამბლი.

ზოგიერთს, შესაძლებელია, ჰგონია, რომ ასეთი ანსამბლის ჩამოყალიბება ხელს შეუშლის სიმფონიური ორკესტრის მუშაობას. ეს არაა სწორი. ხომ გვყავდა ფაკულტეტებზე ორკესტრები? დღეს კი არც ფაკულტეტებზე გვყავს ასეთი კოლექტივები და არც სიმფონიური ორკესტრის საქმეა სახარბიელოდ.

რაც უფრო მეტი თვითშემოქმედებითი წრეები გვეყოლება, მით უფრო საინტერესო გახდება მუშაობა.

საესტრადო ორკესტრი აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს.

**ქ. კონიაშვილი**

# ორი კვირა პოლონეთში

(დასასრული)*

კრაკოვი. პოლონეთის პირველი დედაქალაქი. შეუძლებელია რამდენიმე სიტყვით გადმოვცეთ ამ ათასწლიანი ისტორიის მქონე ქალაქის თავისებურება და სილამაზე. კრაკოვი იყო მეორე ქალაქი, რომელიც ჩვენ ვნახეთ პოლონეთში, ვარშავის შემდეგ. აქ ყველაფერი საინტერესო და მიმზიდველია, იქნება ეს მარიაცკის მოედანი თუ 1898 წ. აგებული ადამ მიცკევიჩის ძეგლი, რომელიც ტურისტების და მტრედების საყვარელი ადგილია, 1400 წელს აშენებული სავაჭრო რიგები თუ იაგელონის ბიბლიოთეკა, რომელიც XV საუკუნეში დაარსდა და ამჟამად 1 246 000 ტომს ითვლის. კრაკოვი მრავალ საუკუნეთა მანძილზე იყო პოლონეთის მეფეების ორი დინასტიის — პიასტების და იაგელონების სატახტო ქალაქი, საიდანაც 1596 წელს მეფე ზიგმუნდ მესამემ სამეფო რეზიდენცია ვარშავაში გადაიტანა. მაგრამ კრაკოვი მაინც კრაკოვია... და სტანისლავ კოსიდოვსკი, ჩვენი მეგზური, გვიამბობს: კრაკოვში დააარსა მეფე კაზიმეჟ დიდმა პირველი უნივერსიტეტი 1364 წელს. აქ მიეცა დასაბამი პოლონურ ბეჭდვით სიტყვას და 1661 წელს აქ გამოვიდა პირველი პოლონური გაზეთი „მერკურიუში" (სხვათა შორის, ამ გაზეთის ეგზემპლარები ვნახეთ კრაკოვის ეროვნულ მუზეუმში) და ბოლოს, — გვითხრა სტანისლავმა, — კრაკოვში 1912—1914 წლებში ცხოვრობდა ვლადიმერ ლენინი.

კრაკოვში არის სამეფო ციხე-სიმაგრე, რომელიც ზიგმუნდ პირველმა ააგო. აქვეა უზარმაზარი სამეფო სასახლე საცხოვრებელი ბინებით, სხდომათა დარბაზებით, მოედნებით. მეორე მსოფლიო ომის დროს, 1945 წლის 18 იანვრამდე ამ სასახლეში ცხოვრობდა ცნობილი ფაშისტი ჰანს ფრანკი. აქ შეკრიბა ფრანკმა მოტყუებით კრაკოვის უმაღლესი სასწავლებლების 186 პროფესორი და საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნა.

ქალაქის ცენტრში აღმართულია მაღალი შენობა, რომელსაც ზევიდან კოშკი აქვს. ამ კოშკიდან ყოველ საათში მებუკე აძლევს ნიშანს: ზარს რეკავს, მაგრამ მელოდია შუაზე წყდება. სტანისლავ კოსიდოვსკი გვიხსნის: შვედები პოლონეთზე მოულოდნელი თავდასხმისათვის ემზადებოდნენ. ერთმა პოლონელმა პატრიოტმა როგორღაც გაიგო და გადაწყვიტა მთელი ქალაქისათვის გაეგებინებინა შვედების განზრახვა. მაგრამ სწორედ მაშინ, როცა საყვირს ჩაჰბერა, იგი მისივე ძმამ მოკლა დანით (ეს დანა ახლაც ინახება მუზეუმში) და საყვირის ხმა შუაზე გაწყდა. ამის შემდეგ სულ ასე შუაზე გაწყვეტილი მელოდია. გაისმის ამ კოშკიდან ყოველ დღე, ყოველ საათში; ეს ხმა სამშობლოს სიყვარულისა და ერთგულებისათვის მოუწოდებს პოლონელებს.

კრაკოვში ჩვენთან ერთად იყვნენ იუგოსლავები. სიტყვა ფეხბურთზე ჩამოვარდა და გადავწყვიტეთ ამხანაგური მატჩი გვეთამაშა. აფიშის ესკიზი ჩვენმა მხატვრებმა და არქიტექტორებმა შეადგინეს... სულ 4 თუ 5 ხელნაწერი აფიშა გამოვაკარით, მაგრამ კრაკოვის ცენტრალური სტადიონი მთლად გაივსო. თამაშის პირველი ნახევარი იუგოსლავებმა მოგვიგეს 1:0; მეორე ტაიმშიც ვერ იქნა და ვერ მოვახერხეთ ბურთის გატანა. აშკარად ვნერვიულობდით, წაგება არ გვინდოდა. თამაშის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე კარლო ლლონტის დარტყმა გოლით დაგვირგვინდა: 1:1, ასე დამთავრდა ჩვენი მეგობრული მატჩი. მეორე დღეს შევხვდით ზანგებს ამავე სტადიონზე, ერთადერთი სიტყვა, რომელიც მოედანზე გაისმოდა, ეს იყო „ამიგო". შეხვედრა მოვიგეთ ანგარიშით 1:0. ჩვენი ტურისტული ჯგუფის ერთმა წევრმა ამ მატჩს ხუმრობით „ამიგოადა" უწოდა.

კრაკოვში ყოფნის დროს ამერიკელი სტუდენტების ინიციატივით ვენის VII ფესტივალიდან დაბრუნებულმა სხვადასხვა ქვეყნების ახალგაზრდებმა მათს რეზიდენციაში მიგვიწვიეს ჭიქა ყავაზე. ჩვენც ჩვენებური ქართული მასპინძლობა გავწიეთ. დაუვიწყარი საღამო იყო. კონსერვატორიის სტუდენტმა რეზო თაბაძემ როიალზე დაუკრა და მის აკომპანემენტზე იტალიელმა ალფრედმა არია იმღერა „ტრავიატადან". გაჩაღდა ცეკვა „ხორუმის" მუსიკაზე. ჩვენთან ერთად ცეკვავდნენ ესპანელები, ამერიკელები, ინგლისელები. ცეკვის დამთავრების შემდეგ ერთ-ერთმა ინგლისელმა, დიდი დრამატურგის, ბერნარდ შოუს თანამემამულემ, აღტაცება გამოთქვა იმ ფაქტის გამო, რომ ქართულ სცენაზე დაიდგა შოუს „პიგმალიონი". ხოლო რაც შეეხება შექსპირის გენიალურ პიესებს, ერთმა ინგლისელმა ცოტა არ იყოს სინანულით მითხრა: — ვეღარ გამიგია — შექსპირი მგონი ნახევარი ჩვენი და ნახევარი თქვენიაო. როცა მე ვთქვი, რომ ჭაბუკიანი „ოტელოს" კინო-ეკრანისთვის ამზადებს და სულ მალე მისი ნახვის საშუალება გექნებათ მეთქი, მათს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

კრაკოვში ყოფნისას საინტერესო ამბავი შევიტყვეთ: კრაკოვის დრამატიული თეატრი დასადგმელად ამზადებს შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს".

აღსანიშნავია, რომ პოლონეთის ბევრ ეკლესიაში გაიგონებთ ჩვენი „სულიკოს" მელოდიას, როგორც ჯვარისწერის, ისე მწუხარების ჟამსაც.

კრაკოვიდან ახალ გუტამდე ოცდაათი წუთის სავალია ტრამვაით. ახალი გუტა პოლონეთის ყველაზე ახალგაზრდა ქალაქია. პოლონეთში არავინ არ ლაპარაკობს კრაკოვზე ისე, რომ ახალი გუტაც არ ახსენოს. თუ კრაკოვში ყოველნაირად უფრთხილდებიან სიძველეს და ახალსაც პატივსა სცემენ, ახალ გუტაში აშენებენ ახალს და როდესაც სიძველის მოგონება სურთ, კრაკოვში მიდიან.

კრაკოვში 13 უმაღლესი სასწავლებელი, 10 მუზეუმი, 11 თეატრი და 7 რედაქციაა. ახალ გუტაში უზარმაზარი მეტალურგიული კომბინატია.

როდესაც შუადღისას მიდიხართ ახალი გუტის ფართო, თანამედროვე ქუჩებში, ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს უკაცური ქალაქი იყოს. ეს იმიტომ, რომ იქ ყველა მეტალურგიულ კომბინატში მუშაობს, მაგრამ სწორედ ამ დროს კრაკოვის ვიწრო, ძველებური ქუჩები ისე ხალხმრავალია, რომ სიარული ჭირს.

ორი ქალაქი და ორი სხვადასხვა მაჯისცემა!

— ახალ გუტაში შესანიშნავი თეატრიც არის, — მითხრა სტანისლავმა, — მან ყურადღება მიიქცია რეპერტუარით და დადგმის ორგანიზაციული მეთოდებით. ეს თეატრი უკვე მთელ პოლონეთშია ცნობილი და გასტროლებიც ჰქონდა იტალიასა და პარიზში. სამწუხაროდ, სეზონი ამ ცოტა ხნის წინათ დაიხურა.

ახალ გუტაში ერთი დღე დავრჩით. საღამოს კრაკოვში დავბრუნდით. ხოლო მეორე დღეს, დილით გავემგზავრეთ ვენიჩკაში, რომელიც კრაკოვიდან ცოტა მოშორებით იმყოფება. აქ მარილების საბადოა. ჩავდივართ მაღაროში. უცებ, ჩვენდა გასაკვირვლად, აღმოვჩნდით გაჩირაღდნებულ კასტიოლში, სადაც ყველაფერი მარილისაა: კიბეები, მოაჯირები, კარებიც, ჭაღებიც და, წარმოიდგინეთ, ხატებიც კი. ნოდარ კობახიძემ იხუმრა, — ამ კასტიოლის მსახურთ მარილის ყიდვა არ დასჭირდებათო. მაღაროდან დიდი შთაბეჭდილებებით გამოვედით. იმავე დღეს დავათვალიერეთ პოზნანი, — სტუდენტთა ქალაქი.

ვნახეთ ოვსენციმი (25 კმ-ით არის დაშორებული კრაკოვიდან)—ყველაზე დიდი ყოფილი კონცლაგერი. იქ გვიჩვენეს დოკუმენტალური ფილმი „ოსვენციმი", სადაც აღბეჭდილია დედამიწის ზურგზე ყველაზე უბოროტეს ზრახვათა განხორციელების ადგილი. თვით ფაშისტები მას „ადამიანთა მოსპობის კომბინატს" უწოდებდნენ. სპეციალური მოწყობილობებით რამდენიმე წუთში ასეული ადამიანი იღუპებოდა და ფერფლად იქცეოდა. ენით აუწერელი ბოროტების კვალი არ დამალულა — აქ ყველაფერი დაცული და შენახულია, რათა შემდგომმა თაობებმა ნახონ ომის შემაძრწუნებელი საშინელებანი და არასოდეს აღარ დაუშვან ომი მსოფლიოში.

**თამაზ ქვარიანი,**
ჟურნალისტიკის განყოფილების II კურსის სტუდენტი.

* დასაწყ. იხ. ჩვ. გაზ. 6/XI—1959 წ.



სურათზე: შოპენის სახლ-მუზეუმი ჟელეზნოვა ვოლაში.



სურათზე: ფიზიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი ჟულიეტა ჯიგიტიანი მუშაობს ნახევარგამტარების ლაბორატორიაში.

ფოტო ა. გემჯიანისა

## ფელეტონი

# კაი ბიჭი ხარ და ნუ მოუსმენ...

ლუარსაბის ენით ვიწყებ: რაც ეს დალოცვილი მორიგეობა შემოიღეს, სტუდენტობის ხეირი მაშინ წავიდა. ამბობენ, კარგი ლონისძიებაა. როგორც იტყვიან, ალაჰმა უწყის... არა, ჩვენ საწინააღმდეგო კი არაფერი გვაქვს, მხოლოდ გვსურს, რომ უქმად ნუ გაგვიცლება რამდენიმე ძვირფასი საათი.

თითქოს ჯიბრზეო, გაიგო რა ზოგიერთმა სტუდენტმა კორპუსებში მორიგეობის შემოღების შესახებ, მაშინ მოუხშირა უსაქმოდ სიარულს და განუწყვეტლივ შეკითხვებს მორიგის მისამართით. კაი ბიჭი ხარ და ნუ მოუსმენ საათობით მოლაყბე ლაზღანდარას! დგომითი მდგომარეობიდან ჯდომით მდგომარეობაში გადავა და მაშინ კი მოხელმოყრილი უნდა ეხვეწო უფალს მისი მალე მოშორება თავიდან, რადგანაც იწყება დაუსრულებელი შეკითხვა-გამოკითხვანი, ცინიკური შეძახილები მორიგე სტუდენტისადმი. რომელიმე დოკუმენტის ჯიბიდან ამოღება კი ისე ჰიანურდება, რომ, როგორც იტყვიან, იმ დროის განმავლობაში ცხვარი გატყავდება; გაისმის შეკითხვები:

„უსათუოდ უნდა დავტოვო საბუთი, ქალიშვილო?“

„ჩემს გულს გიტოვებთ, სხვა რა საჭიროა!“.

„ვაა, ჯიგარ-ტო, გამოიარე რა, რას გაშტერებულხარ, დოკუმენტი კი არა, ნიახური არ უნდა?...“ — ეუბნება ერთი „ზრდილი“ ყმაწვილი მეორეს.

შაბათ საღამოს იწყება სტუდქალაქის გარეთ მცხოვრები ახალგაზრდების განუწყვეტელი ვიზიტები ამა თუ იმ კორპუსში. საინტერესოა, ვინ უღებს კარებს ასე ფართოდ ამ უსაქმურ ახალგაზრდებს, რომლებიც დაიარებიან რა ძველი დარდიმანდებივით, აქაურობას აყრუებენ ტარზანისებური ყიჟინით და უწმაწური მიმართვებით. როგორც გადმოგვცემენ, ღამით ლექციებიდან მომავალ სტუდენტ გოგონებს შიშის ჟრუანტელი უვლით ხოლმე, ვინაიდან არ იციან, რომელი კუთხიდან გამოხტებიან მიმალული დონჟუანები...

ტყუილად კი არ უწოდა ერთმა ჩემმა ამხანაგმა სტუდქალაქში შემოსასვლელ გზას: „Улица полна неожиданностями“.

არ შეიძლება გულისტკივილით არ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ, მიუხედავად სტუდქალაქში მორიგეობის გაუმჯობესებისა, მაინც აქვს ადგილი სერენადებს ღამის 1-2 საათზე და საგანთიადო კრიმანჭულებსაც კი, რაც ხელს უშლის სტუდენტთა ნორმალურ ძილს. ხშირადაც, გვიან ღამით, სტუდქალაქის სასადილოდან წამოსული რომელიმე მგზავრი მთელის ხმით გაჰყვირის: „გამიშვი და გაგიშობ...“

ყურადღების მისაქცევია ის გარემოებაც, რომ სტუდქალაქის მთავარ შემოსასვლელში მყოფი ზოგიერთი მორიგის მოქცევა პირიქითაა შენიშვნაშესატანი. ერთობიან რა ასეთი მოქმედებით, ისინი ხშირად ღამით მომავალ სტუდენტებს აფერხებენ დოკუმენტების ჩამორთმევით, 20 წუთიანი „ლექციის“ ხმამაღალი წაკითხვით და შემდეგ რამდენიმე არასერიოზული შეკითხვით. საჭიროა ყოველივე ამას სათანადო ყურადღება მიექცეს და მორიგეობა სტუდქალაქში მაღალ დონეზე ჩატარდეს.

**ლამარა მემარნიშვილი**

ჩვენი უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა და ბაზარზე იყიდება ნ. ფირცხალავასა და კ. გამსახურდიას წიგნი **„ანალიზის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები“.**

წიგნი, რომლის რედაქტორია ა. ვარდუკაძე შეიცავს 362 გვერდს, ჩასმულია მაგარ ყდაში და ღირს 10 მან. და 60 კაპ.

# სარატოვში



მიმდინარე წლის 24-27 სექტემბერს ნ. გ. ჩერნიშევსკის სახელობის ქ. სარატოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ აღნიშნა თავისი არსებობის 50 წელი.

ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო ბიბლიოთეკების თანამშრომლები, კერძოდ, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ხარკოვის, მინსკის, თბილისის, ერევნის, ირკუტსკის, ტომსკისა და სხვა ქალაქების წარმომადგენლები. მათ გარდა, კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის, ლენინგრადის და ხარკოვის უმაღლესი საბიბლიოთეკო სასწავლებლების წარმომადგენლებმა.

კონფერენციაზე მოსმენილი იქნა ბევრი საინტერესო მოხსენება, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: „იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა სტუდენტთა შორის“ (პ. ა. სუპონიცკაია, სარატოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა), „საბიბლიოთეკო საქმის რაციონალიზაცია“ (მ. გ. ალექსეევი, ქ. ხარკოვი), „ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები“ (ვ. ა. არტისევიჩი, სარატოვის უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი) და სხვ.

სტუდენტთა მომსახურების, საბიბლიოთეკო მუშაობის რაციონალიზაციის, უნივერსიტეტების ბიბლიოთეკების სტრუქტურისა და საცნობარო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების შესახებ სამეცნიერო კონფერენციამ გამოიტანა მეტად მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, რომლებიც დიდ დახმარებას გაუწევენ სამეცნიერო და უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკებს თავიანთ მუშაობაში.

სარატოვის უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიერ სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება სამაგალითო უნდა იყოს საბჭოთა კავშირის მსხვილი ბიბლიოთეკებისათვის.

სამეცნიერო კონფერენციის ზოგიერთმა მონაწილემ სურვილი გამოთქვა, რომ ბიბლიოთეკების ამგვარი, მორიგი სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდეს თბილისში, 1961 წელს ჩვენი უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიერ.

**დ. ნ. მარკევიჩი,**

ი. ბ. სტალინის სახელობის თ. ს. უ. სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი.

**სურათზე: სამეცნიერო კონფერენციის მონაწილენი სარატოვის ნ. გ. ჩერნიშევსკის სახელობის უნივერსიტეტის წინ.**

# ამერიკული იუმორი

* * *

სკოლაში მოსწავლეებს დავალება მიეცათ აღეწერათ ღარიბი ოჯახი. მილიონერის ქალიშვილმა, პატარა მონიკამ დაწერა: „ამერიკაში ცხოვრობდა ერთი ძალიან ღარიბი ოჯახი. მამაც ღარიბი იყო, დედაც. მათი პატარა ქალ-ვაჟიც ღარიბები იყვნენ. შოფერიც ღარიბი ჰყავდათ, დამლაგებელიც. მათი სამივე მეეზოვე და ერთი მებაღეც ღარიბები იყვნენ, ოჯახის ორივე მზარეული კი — ყველაზე ღარიბები. საცურაო აუზის დარაჯიც ღარიბი იყო. ყველა ადამიანი ამ ოჯახში იყო ღარიბი“.

* * *

— როგორია შენი უფროსი?

— ანგელოზივით.

— ბედნიერი ხარ, სამწუხაროდ ჩემი ჯერ კიდევ ცოცხალია.

* * *

ვილაც ჯიმ ბოულინგმა სასტუმროს დირექტორს გაუგზავნა წერილი. ბოულინგი დირექტორს თხოვდა შეენახათ მისთვის ერთი ნომერი. ამავე დროს იგი ეკითხებოდა დირექტორს — შეუძლია თუ არა ნომერში ძაღლთან ერთად იცხოვროს.

ბოულინგმა დირექტორისაგან ასეთი პასუხი მიიღო:

„ძვირფასო ბატონო! მთელი ჩემი სიცოცხლე სასტუმროებში ვმსახურობ და ამ ხნის განმავლობაში არცერთხელ არ დამჭირვებია ღამის 3 საათზე პოლიციის გამოძახება, რათა დავეცავი ხულიგანი ძაღლებისაგან; არასდროს, ჩემი მუშაობის მანძილზე, ძაღლს არ შემოუპარებია ჩემთვის ყალბი ფული, არ მოუპარავს სასტუმროდან პირსახოცი ან სხვა ნივთი; ჯერ არ გაჩენილა სასტუმროში ხანძარი, რომლის მიზეზი ძაღლი ყოფილიყოს; არ მახსოვს ძაღლი დამთვრალიყოს და აყალმაყალი აეტეხოს; არასოდეს ძაღლს ჩემთან საჩივარი არ შემოუტანია და არ მოუთხოვია სუფთა თეთრეული. ასე რომ, ჩვენ დიდი სიხარულით მივიღებთ სტუმრად თქვენ ძაღლს.

P. S. თუ თქვენი ძაღლი თავმდებად დაგიდგებათ, შეგიძლიათ მასთან ერთად თქვენც გვესტუმროთ“.

* * *

ახალგაზრდა ვაჟმა ქალიშვილს ხელი სთხოვა. ქალიშვილი დათანხმდა. საჭირო იყო საქორწილო ბეჭდის ყიდვა.

საქმრომ დიდხანს არჩია და არჩევანი ბრილიანტისთვლიან ბეჭედზე შეაჩერა.

— რა ღირს ეს ბეჭედი? — ჰკითხა მან გამყიდველს.

— რვაას ორმოცი დოლარი! — უპასუხა გამყიდველმა.

გაკვირვებისაგან საქმროს თვალები კინაღამ გადმოსცვივდა და გაოცებულმა ხმამაღლა დაუსტვინა.

— ეს რაღა ღირს? — მიუთითა მან სხვა ბეჭედზე.

— ეს ორი დასტვენა — უპასუხა გამყიდველმა.

თარგმნა **ვახტანგ ელენტმა**

წარმატებით მიმდინარეობს ქალთა III საუნივერსიტეტო სპარტაკიადა. განსაკუთრებით დაძაბულად წარიმართა შეჯიბრება მძლეოსნობაში. სპარტაკიადაზე სპორტის ამ სახეობაში მონაწილეობა მიიღო 8 ფაკულტეტის გუნდმა. გეოგრაფია-გეოლოგიის, იურიდიული და ეკონომიური ფაკულტეტების სპორტული კოლექტივების ხელმძღვანელებმა ვერ უზრუნველყვეს მძლეოსნობაში გუნდების გამოყვანა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიური ფაკულტეტის სპორტსმენები საერთოდ არ მონაწილეობენ ამ სპარტაკიადაში, რაც მეტად დამაფიქრებელი ფაქტია, მით უფრო, რომ ამ ფაკულტეტს დიდი შესაძლებლობა გააჩნია.

მძლეოსნობაში საპრიზო ადგილებისათვის თავიდანვე დაძაბული ბრძოლა წარიმართა ფიზიკის, ფილოლოგიისა და ქიმიის ფაკულტეტებს შორის. ფიზიკის ფაკულტეტის სპორტსმენებმა უკეთეს შედეგებს მიაღწიეს და გუნდური პირველი ადგილი გაინაღდეს, მეორე ადგილზე გამოვიდა ფილოლოგიის ფაკულტეტის გუნდი, მესამე ადგილზე არიან ქიმიის ფაკულტეტის სპორტსმენები.

პირად პირველობაში მძლეოსნობის სხვადასხვა სახეებში ადგილები ასე განაწილდა: 100 მეტრზე რბენაში პირველი ადგილი და ქალთა საუნივერსიტეტო სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა ნ. მაისაშვილმა, მეორე ადგილზეა ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტი ნ. ჩოხიშვილი, მესამე ადგილი დაიკავა დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტმა ნ. კობახიძემ. 200 მეტრზე რბენაში სამი საპრიზო ადგილი დაიკავეს ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტებმა: ლ. სანოძემ (I ადგ.), ნ. ქებურიამ (II ადგ.) და ლ. ბებიავამ (III ადგ.).

400 მეტრ მანძილზე რბენაში პირველი იყო ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი მ. პაპიძე, მეორე ადგილზეა ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ნ. ქავთარაძე, ხოლო მესამე ადგილზე — ამავე ფაკულტეტის სტუდენტი თ. ხავთასი.

ამანათრბენაში 4×100 პირველი ადგილი დაიკავეს ფიზიკოსებმა, მეორე — ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტებმა, ხოლო მესამე ადგილზე გამოვიდნენ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სპორტსმენები.

სიგრძეზე ხტომაში საპრიზო ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: პირველ ადგილზეა დ. მინაძე (ფიზიკის ფაკულტეტი), მეორეზე ლ. მათიაშვილი (ისტორიის ფაკულტეტი), მესამეზე მ. დიაჩკოვა (ფილოლოგიის ფაკულტეტი).

სიმაღლეზე ხტომაში ყველაზე საუკეთესო შედეგით პირველი ადგილი დაიკავა ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა ნ. მაისაშვილმა, მეორე ადგილზე გამოვიდა დ. მინაძე (ფიზიკის ფაკულტეტი), მესამეზე ს. შალიოპა (ფიზიკის ფაკ.).

ბირთვის კვრაში ჩემპიონობა მოიპოვა ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა მ. დიაჩკოვამ, მეორე ადგილი დაისაკუთრა ამავე ფაკულტეტის სტუდენტმა ლ. იევლევამ, ხოლო მესამე ადგილზე გამოვიდა ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი ლ. მათიაშვილი.

ბადროს ტყორცნაში ჩემპიონი გახდა ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ი. ლაპტიევა, მეორე ადგილზეა ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი ს. შალიოპა, ხოლო მესამეზე — მექანიკა-მათემატიკის ფაკ. სტუდენტი ი. ცაავა.

დამთავრდა შეჯიბრება ჩოგბურთში. პირველი ადგილი დაიკავეს ფიზიკის ფაკულტეტის სპორტსმენებმა, მეორე — ფილოლოგიის ფაკულტეტმა, ხოლო მესამე — დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის კოლექტივმა.

**ზაალ ჟვანია**

## უტექსტო ხუმრობა




ნახ. რ. გაბრიაძისა

რედაქტორი **ირ. მეშვაპიძე**

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა. ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტირაჟი 2 000. უე 03771.